## საერთაშორისო ურთიერთობები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორია 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან. მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტებით (ERASMUS +, HORIZON, MEVLANA და სხვა).

## ERASMUS+ ფარგლებში ხელშეკრულებები გაფორმებულია შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- ტიროლის კლინიკების გაერთიანების დასავლეთის საგანმანათლებლო ცენტრი (AZW) (ავსტრია)
- ლიეჟის უნივერსიტეტი (ბელგია)
- პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტი (ბულგარეთი)
- ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტი (გერმანია)
- მიდლსექსის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- ჩესტერის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- კარდიფის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი)
- ტალინის ჯანდაცვის კოლეჯი (ესტონეთი)
- ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- დიჯლეს უნივერსიტეტი (თურქეთი)
- პიზის უნივერსიტეტი (იტალია)
- სასარის უნივერსიტეტი (იტალია)
- პავიის უნივერსიტეტი (იტალია)
- პერუჯის უნივერსიტეტი (იტალია)
- ლატვიის უნივერსიტეტის რიგის სამედიცინო კოლეჯი (ლატვია)
- ლიეტუვას ჯანდაცვის მეცნიერებათა უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
- კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
- პოზნანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- პოვისლანსკის კოლეჯი კვიძინში (პოლონეთი)
- შჩეცინის დასავლეთ პომერანიანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- გდანსკის სამედიცინო უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- იან კოხანოვსკის სახელობის კელცეს უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- პორტოს უნივერსიტეტი (პორტუგალია)
- კოიმბრის უნივერსიტეტი (პორტუგალია)
- ტირგუ მურეშის მედიცინის, ფარმაციის, მეცნიერებების და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- კრაიოვას მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- იულიუ ჰაციეგანუს მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- არისტოტელეს სახელობის თესალონიკის უნივერსიტეტი (საბერძნეთი)
- ტულუზის პოლ საბატიეს სახელობის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- პარიზის ვალ–დე–მარნის უნივერსიტეტი (საფრანგეთი)
- კონსტანტინე ფილოსოფოსის სახელობის უნივერსიტეტის ნიტრაში (სლოვაკეთი)
- დებრეცენის უნივერსიტეტი (უნგრეთი)
- ზაგრების უნივერსიტეტი (ხორვატია)
- ზადარის უნივერსიტეტი (ხორვატია)



## საკონტაქტო ინფორმაცია


თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 33

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსი, პირველი სართული, ოთახი №102

(+995 32) 254 24 01
(+995 32) 254 24 02


PER TRADITIONES AD FUTURUM

# სტომატოლოგიის ფაკულტეტი

tsmu.edu

# ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები

**დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა:** საქართველოს მოქალაქეებისათვის – 2250 ლარი
უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის – 4000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

*პროგრამაზე დაიშვება უცხო ქვეყნის მოქალაქე სრული საშუალო განათლების ატესტატის წარდგენის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის შემდეგ.

დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი, მაღალი კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგების და მკვლევარების მომზადებას. პროგრამაზე ამჟამად 1000 -ზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

სტომატოლოგიის ფაკულტეტზე სწავლება ერთსაფეხურიანია, მისი ხანგრძლივობა 5 წელია. დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში სამედიცინო საქმიანობისათვის, დიპლომისშემდგომი განათლებისა და სპეციალური მზადებისათვის როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ.

სტუდენტების კლინიკური სწავლება მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკებში: თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა; თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა; თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკა; თსსუ-ის #1 სტომატოლოგიური კლინიკა; თსსუ-ის N2 სტომატოლოგიური კლინიკა; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა, ასევე, სხვადასხვა პროფილის აფილირებულ სამედიცინო დაწესებულებებში.

დიპლომირებულ სტომატოლოგს აქვს შესაძლებლობა სწავლა გააგრძელოს რეზიდენტურაში, დოქტორანტურაში ან მაგისტრატურაში.

## კარიერული სქემა

